ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიში

თამარ მეფის სახელობის გიმნაზიის 2021-2027 წლების სტრატეგიული გეგმის მიზანს წარმოადგენდა იმ ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლის თანმიმდევრულ განვითარებას. სტრატეგიული გეგმის წარმატებით განხორციელება აძლიერებს სკოლას, როგორც ინსტიტუციას და სასკოლო საზოგადოებას სთვაზობს განვითარების პერსპექტივას.

2021-2027 სასწავლო წლის სტრატეგიული გეგმა (ბრძანება N84/2; 21 დეკემბერი, 2020) იყო ექვსწლიანი და შეესაბამებოდა ზოგადი განათლების ავტორიზაციის სტანდარტებს. მას შემდეგ, რაც შეიცვალა ავტორიზაციის სტანდარტები, სავალდებულო გახდა, რომ სტრატეგიული განვითრების გეგმა ყოფილიყო შვიდწლიანი. აღნიშნულის საფუძველზე საჭირო გახდა გიმნაზიის სტრატეგიული განვითრების გეგმაში ცვლილების შეტანა. გარდა ამისა, 2023 წლის 27 და 29 მაისს გიმნაზიაში განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტი, რომლის მიზანიც იყო ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთნ დაწესებულების მზაობის გარე განმავითრებელი შეფასება. ექსპერტთა დასკვნაში გაწერილი რეკომენდაციების საფუძველზე გიმნაზიამ შეცვალა ხედვა და მისია, შეიმუშვა ღირებულებები. აღნიშნულმა ცვლილებებმა დღისწესრიგში დააყენა სტრატეგიული განვითრების გეგმაში ცვლილებების შეტანა.

2021-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული იყო სამი პრიორიტეტული მიმართულება: **მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, ადამიანური რესურსი, საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფა.**

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

2022-2023 სასწავლო წელს გიმნაზიაში ჩატარდა კოსმეტიკური რემონტი, რომლის შედეგადაც მოპირკეთდა სკოლის ინტერიერი, საკლასო ოთახები და ფლიგელები. სკოლის ეზოში აშენდა სცენა, რომელიც განკუთვნილია ფართომასშტაბიანი ღონისძიებებისთვის.

სკოლაში 2023 წლიდან ფუნქციონირებს ხარისხის მართვის სამსახური, რომელიც სკოლამ უზრუნველყო ცალკე კაბინეტით და საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. კაბინეტში განთვსებულია ორი კომპიუტერი, პროექტორი,

ფლიპჩრტის დაფები, ფერადი და შავ-თეთრი პრინტერი, საოფისე მაგიდები და კარადა.

სკოლამ უცხო ენებისა და ქართულის კათედრებისთვის დამატებით შეიძინა ორი ლეპტოპი, პროექტორი და დაფები.

ინფორმატიკის კაბინეტში განახლდა კომპიუტერერული ტექნიკა. სკოლამ შეიძინა 30 კომპიუტერი.

ადამიანური რესურსი

ადამიანური რესურსის განვითრება გიმნაზიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისთვის გიმნაზიამ 2022-2023 წლებში უზრუნველყო 5 პედაგოგის დოქტორანტურაში სწავლის თანადაფინანსება.

გიმნაზიის დირექციამ დააფინანსა ადამინისტრაციული პრესონალის პროფესიული განვითრების კურსები, რომლებიც განკუთვნილი იყო მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ტრენინგები გაიარეს: ბიბლიოთეკარმა, ხარისხის მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერმა, ბუღალტერმა, ექიმმა და უსაფრთხოების სპეციალისტმა.

საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფა

გიმნაზია ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე, რომელსაც ახორციელებს სასკოლო სასწავლო გეგმის ყოველწლიური მონიტორინგისა და შეფასების გზით. ამისთვის სკოლა იყენებს მშობელთა და მოსწავლეთა რელევანტური გამოკითხვის ფორმებს და მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შფასების ფორმებს.

მოსწავლეთა და მასწავლებელთა გარეგანი მოტივაციის ამაღლება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებაზე. გიმნაზია ცდილობს მოსწავლეთა და პედაგოგთა მიღწევების აღიარებას და მათ წახალისებას ფულადი და სიმბოლური პრიზებით. ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მეორე ტურში გადასული მოსწავლეები და შესაბამისი საგნის მასწავლებლები დაჯილდოვდნენ ფულადი პრიზებით. საბაზო და საშუალო საფეხურზე გამოვლენილ 15 რეიტინგულ მოსწავლეს დაუფინანსდა გიმნაზიაში სწავლის გადასახადი (თანადაფინანსებით). სასწავლო წლის ბოლოს გამოვლინდა წარმატებული პედაგოგი და დამრიგებელი, რომელთაც გადაეცათ ფულადი ჯილდო.